1926 წ. ივლისი.

№ 7.

ფასი 2 ფრ.

საქართველოს დამოუკიდებელი

La Géorgie Indépendante

Édition mensuelle

1926. — JUILLET N° 7

Prix : 2 fr

ქართველი ბიბლიოთეკა

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.



ვინ დავკარგეთ?

კარლო ჩხეიძე დაიბადა 1864 წ. ზემო-იმერეთის ერთ კოპწია სოფელ ფუთში. მისი მშობლები არ იყვენ მდიდარი, მაგრამ არც ისე ღარიბი, რომ არ შესძლებოდათ შვილების აღზრდა. წოდებით აზნაურნი, ისინი არ თაკილობდენ შრომას, მემკვიდრეობით გადმოსულ მცირე მამულის დასამუშავებლათ; თან მათ იცოდენ სწავლა-განათლების მნიშვნელობა. განსაკუთრებული იყო ამ მხრივ კარლოს დედის როლი ოჯახში. ის იყო დაუღალავი, წეს-რიგის მოყვარული, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, შვილების სასწავლებელში მიცემის დიდი მომხრე.

ამ რიგათ, კარლო ხდება ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე. ის აღწევს მერვე კლასამდე, მაგრამ, გათავების წინ, მას რიცხავენ. კარლო არ ურიგდება «ნახევრათ სწავლულის» ხვედრს და შედის ჯერ ოდესის, შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. ეს ის ხანაა, როცა ნაროდნიკობა ჯერ კიდევ ფლობს რუსეთის ინტელიგენციის სულს, და კარლოც ნ. მიხაილოვსკის დიდი მოტრფიალე ხდება. მაგრამ ჩქარა ამჩნევს ის, რომ ამ მიმდინარეობას ერთი დიდი მეტოქე გამოუჩნდა, მარქსიზმის სახით.

კარლო ეწაფება ახალ მოძღვრებას, ეცნობა მარქსის ნაწერებს. მას იპყრობს ევროპიელ მეცნიერის არგუმენტაცია, მეთოდი, რეალიზმი, და ხდება მისი მიმდევარი, მოციქული. ვამბობთ «მოციქული» იმიტომ, რომ კარლო უკვე საქართველოშია და აქ არავინაა ახალი მოძღვრების მცოდნე, საჭიროა კი მისი ქადაგი. ნ. ჟორდანია ჯერ ისევ უცხოეთშია, კარლო ხვდება ეგ. ნინოშვილს და სილ. ჯიბლაძეს და მათთან ერთათ ატარებს «ფილოქსერის კამპანიას».

შემდეგ კარლოს ბათუმში ვხედავთ მასწავლებლად, ხმოსნად, საავათმყოფოს გამგედ... ამ დროს იქ ცხოვრება სდუღს და გადადის. ჩნდება ნავთის ვეება რეზერვუარები, ასხამენ მას თუნუქის ყუთებში, ამ ყუთებს სვამენ ხის ყუთებში, ტვირთვენ გემებს... იბანდება უცხო კაპიტალი, მრავლდებიან მუშები, მათ შორის პირველი ალაგი ქართველებს უჭირავთ. ეს ხომ მისწრებაა კარლოს «თეორიისთვის»! მუშები იგნებენ მას პრაქტიკაზე, გამოცდილებაზე, ჰქმნიან კლასობრივ ორგანიზაციებს. ამ დროს უკვე მარქსის მიმდევარნი ფართე შარა-გზაზე გამოდიან, ცხადდება «მესამე დასი», ჩნდება საკუთარი პრესა, იწყება იდეური ბრძოლა მოპირდაპირეებთან. კარლო მონაწილეობს ამ მუშაობაში სიტყვით, კალმით. ის უკვე მიჩნეულია პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად, დიდათ ფასობს მისი აზრი როგორც პრაქტიკულ, ისე კიდევ უფრო თეორიულ კითხვებზე; მას უკვე იცნობენ, როგორც ფრთხილს, გამჭრიახს, ბრძენს.

კარლო მუშაობდა, როგორც სხვები, არალეგალურათ, მაგრამ ეს არ იყო მისი სტიქია. ვერც კი გაიგონებდით მისგან, რა უფრო მოსწონდა, რაზე უფრო ერჩოდა გული. კარლო თავდაბალი იყო, მორცხვი, უკან-დახეული, თავის პიროვნების მიმჩქმალავი. და, მიუხედავათ ამისა, ის მაინც ჩნდა, არ შეიძლება არ შეემჩნიათ, წინ არ წაეწიათ, არ გაყოლოდენ მას. ეს იყო პირველი ნიშანი, რომ კარლოს ჩვეულებრივ ქერქში არაჩვეულებრივი ადამიანი ბუდობდა.

ეს გამოაშკარავა კარლოს მოღვაწეობამ ფართე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზედ. იგი დაიწყო ბათუმის ხმოსნობით და, თუ გავიხსენებთ მაშინდელ დროს, ამას დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ის იყო შემოიღეს თვითმართველობა ბათუმში, მიიწვიეს ქუთაისიდან ლუკა ასათიანი ქალაქის თავად და ამას თან მოჰყვა რუსების განგაში ბათუმის «გაქართველებაზე». იწყება პირველი აღმშენებლობითი მუშაობა: კეთდება ქუჩები, წყლის-სადენი, საავათმყოფო, სკოლები, ბაღი, ნავთსადგური, ჩნდება მუშათა უბანი... ქალაქის საქმეებში ინტერეს იჩენს დემოკრატია და მას დარაჯად კარლო უდგას საბჭოში. ქართული საქმე?—კითხულობს საჯაროთ კარლო და თვითონვე მიუგებს: ძალიან კარგი, მაგრამ იგი უნდა ვაქციოთ აგრეთვე დემოკრატიულ საქმედ.

ჩვენ მეტათ მიგვაჩნია ვრცლათ შევჩერდეთ კარლოს როლზე შემდეგ, როგორც დეპუტატის მე-3 და მე-4 სახელმწიფო სათათბიროში, როგორც თავმჯდომარის ს.-დ. ფრაქციისა,—იმდენათ ცნობილია ეს ყველასათვის. საკმარისია ვახსენოთ, რომ თებერვლის რევოლიუციამ ღირსეულათ დააფასა იგი, როცა მან კარლო თავის შესვეურად გამოაცხადა. კარლოს სახელი ეფინება არა მარტო რუსეთს, მთელს ევროპას, მთელს მსოფლიოს. ის არ ჰკარგავს წონათ-სწორობას, თავბრუ არ ესხმის, კარლო რჩება იგივე სადა, თავაზიანი, დარბაისელი, როგორიც მაშინ, როცა მისი სახელი საქართველოს საზღვრებს არ გასცილებოდა.

კარლო უბრუნდება სამშობლოს, როცა მისი მანდატი გაბათილდა რუსეთში, ახალი ბარბაროსობის დაბრუნების მეოხებით. კარლო ხდება ზედი-ზედ თავმჯდომარედ ამიერკავკასიის სეიმისა, საქართველოს პარლამენტის, დამფუძნებელ კრების, საქართველოს დელეგაციის ევროპაში. კარლო ერთხელ კიდევ ბრუნდება შინ და თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრებას, როცა ის იღებს, შემოსეულ მტრის ზარბაზნების გრიალის ქვეშ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციას.

ეს იყო კარლოს უკანასკნელი პოლიტიკური აქტი. გარნა კარლო ლტოლვილებაშიაც სდგამდა ამა თუ იმ ნაბიჯს თავის ქვეყნის საკეთილდღეოთ, მაგრამ ამას ის არ სთვლიდა თავის სტიქიად. კარლო და დიპლომატია, კარლო და ხმამაღლა ჩივილი თუ გინდ სამშობლოს უბედურებაზე, კარლო და საკუთარ ბახას მოწყვეტილი მუშაობა ცუდათ ეგუებოდა ერთმანეთს.

კარლომ მეტად ჩათვალა თავის თავი და ბოლო მოუღო მას! საშინელი ტრაღედიაა, რომელიც, მტრებს სურთ, ერის უიმედობად აქციონ. ვერ მიაღწევენ. ქართველი ერი დასტირის კარლოს, ის მის გულში ხელუქმნელ ძეგლად არის ამართული, მაგრამ კარლოთი არ დაწყებულა და არც დამთავრდება მისი გმირული ისტორია. ის განაგრძობს თავის გზას მტკიცე, შეუდრეკელი უტყუარ მომავლისკენ.

დეე, მტრებმა თხზან ზღაპრები, ვითომ კარლოს დაეკარგოს იმედი თავის ქვეყნის განთავისუფლებისა. დღე, უბადრუკმა ხელაძე-ალიხანაშვილებმა უმტკიცონ თავიანთ აღებს, რომ კარლოს არ ეყო გამბედაობა საჯაროთ აღეარებია თავისი «შეცდომები» და არ გაჰყვა მათ კვალს, არ დაბრუნდა შინ! ქვევით მოთავსებული კარლოს ერთ-ერთი ხელთნაწერის (ამა წლის 26 მაისისთვის) ფაქსიმილე მჭერმეტყველურათ გვეუბნება, რამდენათ მართალი არიან ეს უგვანონი, ეს ჯამბაზები.

სიკვდილის წინ კარლომ ერთი ფრაზა წამოიძახა: «საყვარელო სამშობლო, აპატიე შენს უღირს შვილს!» რას ნიშნავს ეს? კარლოს სერიოზულათ სწამდა, რომ მან ჩაიდინა პოლიტიკური დანაშაული, როცა, საშინელ ნერვიულ კრიზისის დროს, ყელი გამოიჭრა, მის საყვარელ ცოლის გვერდით; მან იცოდა, რომ მტრები შეეცდებოდენ ამის გამოყენებას მის სამშობლოს წინააღმდეგ,—ამიტომ სთხოვს ის მას: «აპატიე შენს უღირს შვილსო».

დიახ, კარლოს ტრაღიკულმა სიკვდილმა ძლიერ შეანძრია მთელი ქართველი ერი; მან იგრძნო, კიდევ დიდ ხანს იგრძნობს მშობლიურ ტკივილებს უბადლო შვილის დაკარგვის გამო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ დიდი ადამიანი და მებრძოლი თავის სიკვდილითაც სიცოცხლის მძაფრ წყურვილს ულვიძებს ერს?! ქართველი ერი ერთხელ კიდევ ჩაწვდა თავის გულს და დაინახა ის უფსკრული, რომელსაც მტერი უმზადებს მას. მით უფრო შეუპოვრათ, მით უფრო თავდადებულათ იბრძოლებს ის ამ უფსკრულისგან თავის დასაღწევათ.

კარლოს სწამდა ეს და კიდეც სთქვა: «ერთობა ხალხის თავისუფლების ბრძოლისათვის მაგრდება».

ჩხეიძე—თავმჯდომარე.

ეჭვით ვუყურებდით: ჩხეიძე—დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე?!

ის გვაგონებდა მეზღვაურს, რომელიც შემთხვევით გადაურჩა საშინელ ზღვის ღელვას, დაემსხვრა ნავი მის ტალღებში და დაღლილ-მოქანცული ძლივს გამოვიდა რაღაც კუნძულის ნაპირად... რა უნდა გააკეთოს მან? რევოლიუცია—ნგრევაა ძველი წყობილებისა, დამფუძნებელი კრება კი—ორგანო ახალი ცხოვრების აღნაგებისა, ჩხეიძემ დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა პირველში, რაღა უნდა გააკეთოს მან მეორეში?!

ეს ფიქრი გვიტრიალებდა ჩვენ, როცა გამოჩნდა ჩხეიძე ეროვნულ და დამფუძნებელ კრების სათავეში და შეუდგა მუშაობას. პირველივე მისი სიტყვიდან ყველა მიხვდა, ყველამ იგრძნო, რომ ის კუნძული, რომელზედაც ზღვამ შეაგდო თავგანწირული მეზღვაური, იყო ერთად ერთი მტკიცე ნიადაგი, შექმნილი საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული ენერგიით: ის იყო სამშობლო!.. ყველამ შეიგნო, რომ უნდა აღადგინოს და მოუაროს, დაიცვას და მოაწყოს ეს დიადი და დაუფასებელი მემკვიდროება, თუ უნდა თვითონ გადარჩეს და გადაარჩინოს სხვებიც საბოლოო განადგურებას. აი, აქ იჩინა თავი ჩხეიძის ნიჭმა და დიდმა ბუნებამ. იმას არც კი უხმარია სიტყვა «სამშობლო», მაგრამ თავის სიტყვისა თუ გონების იდუმალ აშუქებით აგრძნობინა მთელ კრებას, რომ მის წინ დგას მართლაც დიდი, ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნებამდე ამაღლებული პიროვნება. თავის ძლიერი, თუმცა აუწონელი ზედგავლენით, ჩხეიძემ გაუღვიძა დამფუძნებელ კრებას შეგნება მისი დანიშნულების, და თავიდანვე მისცა მას დარბაისლური სიდინჯე. ეს იყო დიდი სამსახური. ეს დაფასებული იქნა საზღვარ-გარეთაც.

უნებლიედ მაგონდება მეორე ისტორიული პიროვნება—ლენინი. მან გადაისროლა ველური პრინციპი: მოიტაცე «მონატაციო!» მაგრამ ყოველ მონატაცი ქონება თვითონ არის მონატაცი და როგორც მონატაცს კიდევ უნდა მოტაცება, ასე რომ ტაციობას ბოლო არასოდეს არ მოეღება. ლენინის პრინციპი არის პრინციპი სამოქალაქო ომისა.—სულ სხვანაირად უყურებდა ჩხეიძე საგანს. იმისთვის შრომა და დემოკრატიულ წყობილება იყო საფუძველი ცხოვრებისა და ამისათვის კი აუცილებელი პირობაა არა ტაციობა, არამედ წესი და რიგი, კანონი და სამართალი.

აი, ამ კანონების დამუშავებას შესწირა ჩხეიძემ თავისი ძალღონე. სამუშაო იყო დიდი, აუარებელი და მრავალფეროვანი. ნუ გვავიწყდება, რომ საქმე შეეხებოდა მთელი სახელმწიფოს აშენებას, მთელი ეროვნული ცხოვრების აღდგენას და მოწყობას. აქაც ჩხეიძემ გამოიჩინა დაუფასებელი ნიჭი, არა მარტო იმით, რომ იყო ყოველთვის თავაზიანი და მიუდგომელი, არა, ეს ცოტაა. იმას ჰქონდა კიდევ თავისებური ბუნებრივი სიმახვილე გონებისა. ეს იყო საშინლად მჭრელი იარაღი: თავისი მცირე, მაგრამ მკვეთრი და მახვილი შენიშვნით აბნევდა იდეოლოგიურ ბურუსს, ხშირად შავ ღრუბლებს, და მოულოდნელად დაგაყენებდა ხოლმე რეალობის წინ. მუშაობაც დუღდა. მოკლე დროში ჩვენ შევქმენით ყველაფერი, რაც კი საჭიროა თანამედროვე განათლებულ სახელმწიფოსათვის.

ჩხეიძის გავლენით ამაღლდა დამფუძნებელი კრებაც. იგი განიმსჭვალა თავის როლის და პასუხისმგებლობის შეგნებით, მიეჩვია თავის მუშაობას და ასრულებდა მას როგორც უზენაეს დავალებას. იშვიათია ისტორიაში ისეთი სურათი, როგორიც იყო უკანასკნელი სხდომა დამფუძნებ. კრებისა თბილისში. საჭიროა იყო უკანასკნელი წაკითხვა კონსტიტუციის და მისი საბოლოოდ მიღება. სხდომა გაგრძელდა მთელი ღამე. თუ სასახელოა ზოგიერთი სხდომა სენატისა ძველს რომში, ან კონვენტისა—საფრანგეთში მაშინ, როცა ქვეყანას ადგა ხოლმე განსაცდელი,—რითი ჩამოუვარდება ამისთანა ისტორიულ მაგალითებს, თავის შვენებით და ზნეობრივი სიდიადით, სხდომა საქართველოს დამფუძნებელ კრებისა იმ დაუვიწყარ ღამეში?.. მთელი ღამე მსჯელობა სწარმოებდა მშვიდობიანად, წყნარად, ჩაფიქრებულად მაშინ, როცა თბილისის ირგვლივ იხოცებოდა თავგანწირული ქართველი მხედრობა და თვითონ თბილისს ეყრებოდა გრიალით ზარბაზნისა ყუმბარები?! კრება მაინც არ დაშლილა: მან დაამტკიცა კონსტიტუცია და პირდაპირ ბრძოლის ცეცხლიდან გამოიტანა სამარადისოდ ჩამოსხმული ეროვნული ნებისყოფა.

თავმჯდომარე იყო ჩხეიძე.

გიორგი გვაზავა
დამფუძნებელი კრების წევრი.

კარლოს ხსოვნას.

კარლო, თავმჯდომარე საქართველოს დამფუძნებელ კრების,—

კარლო, თავმჯდომარე საქართველოს დელეგაციის ევროპაში საზავო კონფერენციის დროს,—

კარლო, თავმჯდომარე საქართველოს პარტიების საზღვარ-გარეთელ დელეგაციის,—

აი ამ როლებში კარლო იყო წარმომადგენელი მთელი ქართველი ერის; ჩვენ გვქონდა ბევრი რამ საერთო კარლოსთან, ამ საერთოში ჩვენ მას პატივს ვცემდით და ვაფასებდით.

პირადათ ჩვენ გვქონდა ბედნიერება გვეთანამშრომლა კარლოსთან ჯერ, როგორც დამფუძნებელ კრების წევრს. და შემდეგ როგორც ერთის, ისე მეორის დელეგაციების წევრს.

არც დრო და არც ადგილი არ გვაძლევს საშუალებას ამ მოკლე წერილში აღვნიშნოთ ის ხანგრძლივი მოღვაწეობა, რომელიც კარლომ გასწია ამ დიდ საპასუხგებლო პოსტებზე.

ეს ისტორიის საქმეა, ამას ისტორია დააფასებს.

მხოლოდ გვსურს ზოგიერთი შთაბეჭდილება, მოგონება გაუზიაროთ მკითხველს.

კარლო, როგორც თავმჯდომარე დამფუძნებელი კრების, იყო მიუდგომელი, დინჯი, ფაქიზი, გამოცდილი და მცოდნე პარლამენტარული წესების.

როგორც თავმჯდომარე საქართველოს დელეგაციის ევროპაში, კარლო თავისი კოლეგიალური თვისებებით, გამჭრიახი და გონიერი ტაქტიკით ახალისებდა და ენერგიას ჰგვრიდა დელეგაციის ყველა წევრს. განსაკუთრებულ ძნელ პირობებში უხდებოდა მაშინ დელეგაციას მუშაობა ევროპაში.

ის დრო იყო, როდესაც ევროპის ფართო წრეებში ზოგიერთს საქართველო მიაჩდა ამერიკის ერთ-ერთ შტატათ.

საქართველოს დელეგაციას მოუხდა მრავალი საპასუხგებლო ნაბიჯის გადადგმა, როგორც მოკავშირეთა საზავო

გ. ჩხეიძის უკანასკნელი წერილი «დამოუკიდებელი საქართველო»-სთვის. *)

დღესეც 26 მაისს ვეგებებით მოშორებული ქვეყანას, რომელსაც პოეტმა სთხოვა: დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო. არ გვარფქვევს დღეს თვის მაცოცხლებელ, ცხოველმყოფელ სხივებს საქართველოს მზე, ვერ გვატკბობს ქუთაისი, სავარდო და სამაისო, ვერც ადგილი, რომლის შვენებას ვერ ასწერს ხელი, ვერც მიდამოები მდინარის, რომლის ზვირთებში ქრთის ლაჟვარდი ცისა კამარა, ვერც ბუმბერაზნი მთანი მაღალნი, ცათამდი აყუდებულნი, და რაც უარესია, ვერ ვხედავთ ხალხს, რომელმაც ორი ათასი წლის ბრძოლაში სისხლი ღვარა, მაგრამ სხვის წინ ამაყი თავი არ დაუხრია.

მაგრამ მაინც ვდღესასწაულობთ, ვდღესასწაულობთ, რადგან საქართველოს განთავისუფლების იდეა დღითი დღე იზრდება, სურვილი მისი განხორციელების ყოველწამს ძლიერდება, სიყვარული და მისწრაფება მისი დაახლოების თანდათან ცხოველმყოფელი ხდება; ერთობა ხალხის თავისუფლების ბრძოლისათვის მაგრდება, პატივისცემა და სიყვარული თავისუფლებისათვის (ვერ გავარჩიეთ ერთი სიტყვა)... იზრდება, დიდი წარსულის ფასი ხალხის თვალწინ თანდათან იშლება და ძვირფასდება, აწმყოს გაჭირვების წინაშე შიში თანდათან ქრება ღირსშესაფერი მომავლის იმედით...

ვდღესასწაულობთ 26 მაისს, თუმცა საქართველო დღესაც შემოსეული მტრის ხელშია. ვდღესასწაულობთ, რადგან ვხედავთ, რომ მტერი ხედავს, რომ მან ყოველშემთხვევაში იარაღი უნდა დაყაროს, რომ ის საბოლოოთ ქართველი ხალხის გატეხას ვერ შესძლებს.. ჩვენ ვხედავთ, რომ მტერს იქ, რუსეთშიც დღითი დღე ეცლება ნიადაგი არსებობის....



*) ამ წერილს განსვენებული ამზადებდა ჩვენი გაზეთის სამაისო ნომრისთვის, მაგრამ ავადმყოფობისა გამო ვერ დაამთავრა და დაუბეჭდავი დარჩა. რ ე დ.

კონფერენციის, ისე ერთა ლიგის წინაშე. ეს ის ხანაა, როდესაც საქართველოს იურიდიულათ ცნობის საკითხი დაყენებული იყო ევროპაში.

და აი ამ დიდათ საპასუხმგებლო მომენტში კარლო, როგორც დელეგაციის თავმჯდომარე, იყო მტკიცე და შეურყეველი დამცველი ქართველი ხალხის ინტერესების.

სხვათა შორის მოვიგონოთ ერთი მომენტი.

1920 წ. გაიმართა სანრემოში მოკავშირეთა კონფერენცია —ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით. ამ კონფერენციაზე იყო მოწვეული საქართველოს დელეგაცია და მასთან ერთათ სომხეთის და აზერბეიჯანის დელეგაციები.

წამოყენებული იყო ჩვენ წინაშე ინგლისელ კონცესიონერების მიერ შემუშავებული პროექტი ბათუმის ოლქში ჭოროხის ნაპირებზე რკინის გზის გაყვანისა; ამ პროექტის აზრით ბათუმის ნავთსადგური და მთელი ის ტერიტორია, სადაც რკინის გზა გაივლიდა, უცხოელებს უნდა დასთმობოდა. დიდ-ბრიტანეთის საგარეო მინისტრი კერზონი, თავის რწმუნებულის ბატ. ვანსიტარის პირით, მოითხოვდა: საქართველოს დელეგაციას დასტური მიეცა ამ პროექტისათვის.

აი სწოლეთ აქ გადაიშალა ჩემს წინ მთელი თავისი არსებით კარლოს დიდი პიროვნება—როგორც ქართველი პატრიოტის, ინგლისელების მოთხოვნაში კარლომ დაინახა საქართველოს სუვერენობის შელახვა, საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის უცხოელებისათვის დათმობა.

მიუხედავათ ბატ. ვანსიტარის განცხადებისა უკანასკნელ სხდომაზე, რომ თუ საქართველოს დელეგაციამ არ მიიღო წარმოდგენილი პროექტი, მაშინ კერზონი ხელს იბანს საქართველოს საქმეებში და მთელი პასუხმგებლობა დაედება საქართველოს დელეგაციას, კარლომ მაინც ხელი არ მოაწერა ინგლისელ კონცესიონერების პროექტზე და მთელი პასუხისმგებლობა მიიღო თავის თავზე. პირადათ ჩვენ, როგორც ერთი წევრი დელეგაციის სავსებით ვეთანხმებოდით კარლოსს ამ შემთხვევაში.

იმის შემდეგ, რაც მოსკოვი ძალით დაეპატრონა საქართველოს მიწა-წყალს, კარლო განაგრძობდა მუშაობას ოკუპანტების წინააღმდეგ პირველ ხანებში როგორც თავმჯდომარე დამფუძნებელი კრების გაფართოვებულ პრეზიდიუმისა და უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, როგორც თავმჯდომარე საქართველოს პარტიების საზღვარ-გარეთელ დელეგაციისა. მთელი ამ ხნის განმავლობაში დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი მტრები ადრე თუ გვიან განდევნილი იქნებიან საქართველოდან და აღდგენილი იქნება საქართველოს დამოუკიდებლობა, კარლო ჩვენ მოგვიწოდებდა ბრძოლისათვის გამარჯვებამდე.

და ეხლა, როდესაც ჩვენი გამარჯვების დღე მოახლოვებულია, უღვთო, უსამართლო იყო კარლოს დაკარგვა. ყოველი ქართველის გულში ღრმა მწუხარებას გამოიწვევს კარლოს ტრაღიკული ბედი. მშობლიური ერის ტრაღედია კარლოსათვის აუტანელი შეიქმნა და ის განაჩენი, რომელიც მან გამოუტანა თავის თავს, უდიდესი პროტესტია იმ საშინელებათა წინააღმდეგ, რომელსაც დღეს აქვს ადგილი საქართველოში.

დიდი საქმე დიდ მსხვერპლს ითხოვს და საქართველოს განთავისუფლების საქმეს მსხვერპლი მსხვერპლზე მიაქვს, მაგრამ კარლოს დაკარგვა უმძიმესი დაკარგვაა დღეს ქართველი ერისათვის.

კარლოს უკანასკნელად შევხვდით საელჩოში. შეეკითხე: ბ-ნო კარლო, რითი აიხსნება ის გარემოება,რომ ზოგიერთმა პირებმა, რომელნიც დიდ პასიობას იჩენდენ ჩვენს საერთო მუშაობაში, დღეს აქტიურად დაიწყეს მუშაობა ჩვენთან ერთად ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ (დაუსახელე მას ასეთი პირები). კარლომ თავისებური სიდინჯით მიპასუხა: ეს იმის მომასწავებელი არის, რომ მოახლოვებულია ჩვენი გამარჯვების დღე, ეს აგრეთვე შედეგია ქართველი ხალხის შეურიგებელი ბრძოლისა მტრის წინააღმდეგ და ჩვენი გაერთიანებული მუშაობისაო.

ეს იყო შაბათს... არ გასულა ორი დღე... და ორშაბათს დილით კარლომ ასე ტრაღიკულად გაათავა თავის სიცოცხლე.

კარლო ბრძოლას არ გაქცევია...

დიდ ბუნოვანი ადამიანის სულის კვეთება და საქციელი გაუგებარია ძლიერ ხშირად ჩვეულებრივი მომაკვდავისათვის. კარლოს ბედიც ბევრისათვის გაუგებარია. მაგრამ ის სავსებით გასაგებია, როდესაც წარმოვიდგენთ, რომ კარლო იყო ერის შვილი, ერის წიაღში აღზრდილი და მისი სიხარულის თუ ტანჯვის სრული მატარებელი, ამიტომაც ერის ტრაღედია მისი უდიდესი პიროვნულ ტრაღედიათ გადაიქცა.

მადლიერი ერი კარლოს ღირსეულად დააფასებს; ის ჩაირიცხება ერისათვის თავდადებულთა სიაში.

დღეს საქართველოში გლოვაც კი აკრძალულია,—იქ ბევრია ეროვნულ გმირთა დაუტირებელი საფლავი. მაგრამ მოვა დრო. და ეს დრო შორს არ არის, როდესაც გამარჯვებულ ერს შეეძლება თავის გრძნობებს გამოსავალი მისცეს და «თითეულს მიუზღოს საქმისამებრ მისისა».

იოს. გოგბერი.

ხალხის წარმომადგენელი.

— ვერ შეგვაშინებთ, მედიდურათ განუცხადა სტოლიპინმა თავისუფლებისთვის მებრძოლ რუსეთსა და ერებს. და თვისი განცხადება მეფის სატრაპმა დამსჯელი რაზმებითა და სახრჩობელათი გაამაგრა.

— ბრძოლაზე ხელს ვერ აგვაღებინებთ, ძველი რუსეთი უნდა დაინგრეს, თავისუფლებამ უნდა გაიმარჯოს, უპასუხა სტოლიპინს მებრძოლი რუსეთისა და ჩაგრული ერების სახელით სახ. დუმის ტრიბუნიდან ირაკლი წერეთელმა.

სტოლიპინი საქმეს შეუდგა: მეორე სახ. დუმა გარეკა, 3 ივნისის გადატრიალება მოახდინა და ისედაც მახინჯი ხალხის წარმომადგენელობა სულ დაამახინჯა, ხოლო წერეთელი და მისი ამხანაგები პროვოკაციული გზით კატორღაში გაგზავნა. წერეთელი ციხეში ჩაკეტეს, მას ბრძოლის საშუალება მოუსპეს. რეაქცია მძვინვარებს და გამარჯვებას დღესასწაულობს.

ასეთ პირობებში ხდება მესამე სახ. დუმის არჩევნები. რუსეთის სოც.-დემოკრატია მთელ თავის იმედებს ქართველ სოც.-დემოკრატებზე ამყარებს.—გაიყვანეთ დეპუტატათ ისეთი პირი, რომელიც წერეთლის მაგიერობას გაწევს, იწერება პეტერბურგიდან სოც.-დემ. პარტიის ცენტრი.

ქართველმა სოც.-დემოკრატიამ კარლო ჩხეიძე დაასახელა. იმედი აქვს, რომ კარლო ამ მოვალეობას ყველაზე უკეთ შეასრულებს. ზოგიერთი შეიძლება პარტიის ასეთ გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვედროდა, პირად კარიერას გაეტაცებია და მთავარი—შესაძლებლობის და მოვალეობის საკითხი, უკანა რიგში დაეყენებია. კარლოში კი ამ დადგენილებამ მწუხარება გამოიწვია; ის გადაჭრით უარს არის და ამბობს: მე ამ მოვალეობას ვერ ვიკისრებ, ხალხის წარმომადგენელობა დიდი საპასუხისმგებლო საქმეა, მე ამისთვის საკმაო არც მომზადება მაქვს და არც გამოცდილება, ჩემი წელი ამას ვერ აწევს. ამიტომ სხვა რაც უნდა ის დამავალოს პარტიამ, ოღონდ დეპუტატობის მოვალეობისგან გამათავისუფლოსო. მიუხედავათ ამისა, პარტიამ თავისი დადგენილება სისრულეში მოიყვანა.

1907 წლიდან ჩხეიძე ხალხის წარმომადგენელია, უმაღლეს სადარაჯო პოსტზე სდგას, დემოკრატიას იცავს, სიმართლისთვის იბრძვის და უსამართლობას ებრძვის.—კლასიურ ჩაგვრაზე და ეროვნულ ძალმომრეობაზე აგებული მეფის რუსეთი უნდა დაინგრეს, ამბობს ჩხეიძე სახ. დუმის ტრიბუნიდან მთელი ქვეყნის გასაგონათ.

ამ რიგათ ჩხეიძე სახ. სათათბიროში ერთი პირველ დეპუტატთაგანია, ის თავისებური ორატორია, მას ამ მხრით ბადალი არ ყავს. მის სარკაზმით სავსე სიტყვას გულდასმით ისმენს მტერიც და მოყვარეც. მთელს მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ის ყველაზე უფრო პოპულიარული და ხალხის საყვარელი დეპუტატია.

1916 წელს, მთავრობის სურვილის წინააღმდეგ მოსკოვში ხდება ერობათა და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა კრება; მას ესწრებიან აგრეთვე სახ. დუმის ოპოზიციონური ფრაქციების წარმომადგენლები. მონაწილეობას იღებენ თვითმართველობათა ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც იყვენ ლვოვი და ჩელნაკოვი; კადეტების ლიდერები—მილიუკოვი, როდიჩევი და მაკლაკოვი; ესწრება «ტრუდოვიკი» კერენსკი, მათ შორის არის ჩხეიძეც. მთელი მოსკოვი, მთელი რუსეთი, მთავრობა და სარდლობა ამ კრების მსვლელობას მოუსვენრათ ადევნებს თვალყურს. ერთნი მისგან ხსნას მოელიან, მეორენი კი მისი შიშით ცახცახებენ. ამიტომ მთელი რუსეთი მას დაჩიმული ძარღვებით უსმენს. მაგრამ ყველაზე მეტათ დაინტერესებული არიან დეპუტატ ჩხეიძით. მოსკოვმა იცის, რომ ის კრებაზეა, ამიტომ ყველას სურს იგი თავის თვალით ნახოს, მას თავისი ყურით მოუსმინოს.

განსაკუთრებით დაინტერესებული არიან სტუდენტობა და მუშები.

აი როგორი სიმპატია დაიმსახურა და ავტორიტეტი მოიპოვა პირადათ ჩხეიძემ, როგორც დეპუტატმა.

მაგრამ ჩხეიძეს განგება თითქოს სჯის და რასაც გაურბის, იმას ავალებს, რისიც ეშინია—მას ურთულებს და უორკეცებს. მას არ აჯერებს დეპუტატის პირად მოვალეობასა და პასუხისმგებლობას. ჩხეიძე პასუხისმგებელია არა მარტო თავის მოქმედებაში, არამედ მთელი მიმდინარეობის და მისი კოლექტივის. იგი ხელმძღვანელია მესამე და მეოთხე სახ. სათათბიროს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის. და ისეთ პირობებში, როცა ფრაქცია თავისი ძალებით სუსტი და გამოუცდელია, ხოლო მოვალეობა და პასუხისმგებლობა დიდი აქვს. დამხმარე თითქმის არავინ ყავს. მოწინააღმდეგე კი—მრავალი. ვისაც გული შეტკივა და გარედან დახმარება შეუძლია, ის ან ციხეშია, ან უცხოეთში გადახვეწილი. მუშაობას უძნელებენ ეგრეთ წოდებული «მეგობრებიც». ერთის მხრით ლიკვიდატორები ცდილობენ ფრაქციის თავის გავლენის ქვეშ დაყენებას, მეორეს მხრით ლენინი ჩვეულებრივი ენერგიით აწარმოებს ინტრიგას ფრაქციის წინააღმდეგ.

მეოთხე სახ. დუმის დროს პოლიციის დეპარტამენტი და ლენინი ს.-დემ. ფრაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთდებიან. ბელეცკი და ლენინი დეპ. მალინოვსკის ფრაქციის შიგნიდან აფეთქებას ავალებენ. პირველი პოლიციის დეპარტამენტის სახელით, მეორე—ბოლშევიკების ცეკის. მიზანს აღწევენ და ისედაც მცირე რიცხოვან ფრაქციას შუაზე ყოფენ. ჩხეიძეს ამ შინაურ უთანხმოების დროს ყველაზე მეტი ხვდება, მაგრამ ის მაინც თავის სიმაღლეზე სდგას და მცირე რიცხოვანი ამხანაგებით მუშაობას განაგრძობს.

მსოფლიო ომის დროს მთელი რუსეთი პატრიოტულ ვაკხანალიას მიეცა; სახ. სათათბირომ, დაწყებული პურიშკევიჩით და გათავებული კერენსკით, მეფეს მთავრობას ნდობა გამოუცხადა და ხალხს ბრძოლის ველისაკენ მოუწოდა. ვარონინიას არღვევს მხოლოდ ჩხეიძე და მისი ფრაქცია.

— მეფის მთავრობა რუსეთს ბრძოლის ველზე გამარჯვებას ვერ მოაპოვებიებს. ეს ომი რუსეთის ხალხის ინტერესებს არ შეადგენს, მას იგი არ უნდა, ამიტომ, ამბობს იგი ტრიბუნიდან. ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართო. ამის გამო ჩხეიძეს აუმხედრდენ, როგორც იდეური მოწინააღმდეგენი, ისე იდეური ამხანაგები. «ჭკვიან ჩხეიძეს» გ. პლეხანოვმა ბრძოლა გამოუცხადა, იგი ცუდ სოც.-დემოკრატათ გამოაცხადა. მოსკოვის «ობოროონცებმა», სადაც თავი მოიყარეს მენშევიკებმაც და ბოლშევიკებმაც, ჩხეიძეს სამხედრო ბიუჯეტისთვის მხარის დაჭერა მოსთხოვეს. მიუხედავათ ამისა, ჩხეიძემ თავის ტაქტიკა მტკიცეთ დაიცვა. ის, რაც ევროპის პირობებში ვანდერველდეს და გედს შეუძლიათ გააკეთონ, მეუბნება კარლო, რუსეთის პირობებში მე ა'ბ შემიძლია.

ჩვენ რასპუტინის მთავრობას ნდობას ვერ გამოუცხადებთ, ხალხს მისი ხელმძღვანელობით ბრძოლას ვერ ვურჩევთ. ისტორია სულ მალე ჩვენ გაგვამართლებსო. აქ საყურადღებოა ერთი მოვლენა: ამ უდიდესი ისტორიული მომენტის დაფასებაში, ჩხეიძე და ქართველი ერი ერთათ აღმოჩდა. კარლოს ეს ძლიერ ახარებდა და ამაგრებდა.

ჩხეიძის წინასწარმეტყველება გამართლდა, მეფის მთავრობა ბრძოლის ველზე დამარცხდა, თებერვლის რევოლიუცია მოხდა. ჩხეიძე რევოლიუციის ხელმძღვანელია, მისი მესაჭეა, სრულიად რუსეთის საბჭოების თავმჯდომარეა. რევოლიუციონური რუსეთი ყველაზე დიდ ნდობას მას უცხადებს, უმაღლეს საპასუხისმგებლო რევოლიუციონურ პოსტებს მას აბარებს.—საბჭოებში უმეტესობა ჩვენ გვყავდა, განაცხადა რუს. ესერების ლიდერმა ჩერნოვმა, შეგვეძლო ჩვენი თავმჯდომარე გაგვეყვანა, მაგრამ ჩხეიძის საწინააღმდეგოთ კანდიდატს როგორ დავასახელებდითო?!

1917 წელს მთელი რუსეთის დემოკრატია იკრიბება, დემოკრატიული რუსეთის ბედის გამოსაჭედათ, მისი გზების გამოსანახავათ. ჩხეიძე დემოკრატიული თათბირის თავმჯდომარე და ხელმძღვანელია.

ერთი სიტყვით, რევოლიუციამ ჩხეიძე ხალხის წარმომადგენელის უუმაღლეს საფეხურზე აიყვანა და მით მოვალეობა და პასუხისმგებლობა გაუასკეცა.

1918 წ. 26 მაისს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დამფუძნებელი კრება მოიწვია. ჩხეიძე ამ უმაღლეს ორგანოს «ქვეყნის ბატონ-პატრონის» თავმჯდომარე და ხელმძღვანელია. საქართველო ევროპისაგან ცნობას თხოულობს, საერთაშორისო ოჯახის წევრათ გახდომას ცდილობს, ამ მიზნით იგი ევროპაში დელეგაციას გზავნის და მის თავმჯდომარეთ ჩხეიძეს ირჩევს.

ამ შემთხვევაშიც დამოუკიდებელი საქართველო მას უდიდეს ნდობას უცხადებს და უუმაღლეს საპასუხისმგებლო პოსტებს აბარებს.

ერთი სიტყვით, ისტორიამ ძვირათ იცის ხალხის წარმომადგენელისადმი ასეთი უსაზღვრო ნდობა, როგორიც ხვდა წილად ჩხეიძეს.

როგორ შეასრულა ჩხეიძემ ისტორიის მიერ დაკისრებული მოვალეობა?

უნაკლო კაცი არ არის, უშეცდომო პოლიტიკური მოღვაწე არ არსებობს. ჩხეიძესაც აქვს თავის ნაკლი და შეცდომები, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მან ნაკისრი მოვალეობა საუკეთესოთ შეასრულა.

როცა ჩხეიძის მოღვაწეობას ვაფასებთ, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის მძიმე პირობები, რომელშიაც მას მუშაობა უხდებოდა. ჩხეიძეს არ ქონია ევროპის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვიწეთა პირობები. მისი გზა ნარ-ეკლიანი იყო, მას თვით უხდება ამ გზის გაწალდვა და ისე წინსვლა. მან ამ გზაზე «მძიმე ჯვარ აკიდებულმა» თავის ხალხთან ერთათ 40 წლის განმავლობაში დიდი მანძილი განვლო, დიდათ წაიწია წინ.

რა ახასიათებს ჩხეიძეს, როგორც პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს?

ზოგიერთების სიტყვით, ჩხეიძეს თავისი საკუთარი აზრი არ ქონდა, სხვას მიჩანჩალებდა უკან და კითხვების გადაჭრაში მეტათ გაუბედავი და მშიშარა იყო.

ერთი შეხედვით ეს თითქოს მართალია, მაგრამ საკმარისია დაუკვირდეთ მის მუშაობას, გაეცნოთ მის პირად მოღვაწეობას, რომ ეს აზრი უარყოთ. ჩხეიძეს «საკუთარი აზრიც» ქონდა და საჭიროების დროს მისი დაცვაც იცოდა, თუგინდ ამისთვის მას მთელი ქვეყანაც ამხედრებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნე მსოფლიო ომის დროს სახ. დუმაში მარტოთ დარჩა, ხოლო თავის პარტიის ლიდერებმა იგი ამისთვის სასტიკათ გაკიცხეს და დაგმეს, მიუხედავათ ამისა, მან თავისი პოზიციიდან რყევაც არ ქნა.—ჩხეიძე ჭკვიანი პოლიტიკოსია, ჩვენ მას ვაფასებთ და პატივს ვცემთ, მითხრეს 1915 წელს მოსკოვში რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ბელადებმა პოტრესოვმა, პ. მასლოვმა და სხვებმა. მაგრამ მისი ნაკლი ის არის, რომ პარტია მას ვერასოდეს ხელში ვერ დაიჭერსო.

საკუთარი აზრის არ მქონე და გაუბედავი პიროვნება, ამას ვერასოდეს ვერ იქს. და თუ ჩხეიძეზე მაინც ლაპარაკობენ ამას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი «თავის საკუთარი აზრის» დემონსტრაციას არასოდეს არ ახდენდა, პირველობისთვის არასოდეს არ იბრძოდა. თუ კი მისი აზრი ეთანხმებოდა სხვის აზრს, იგი მას მიყვებოდა, თუ გინდ ეს სხვა მასზე პატარა კაციც ყოფილიყო, ვინაიდან იგი დარწმუნებული იყო, რომ ამით საზოგადო საქმე არაფერს კარგავდა. მაგრამ, როცა მისი აზრი არ ეთანხმებოდა სხვისას და თავის აზრის სისწორეში კი დარწმუნებული იყო, არ დაუთმობდა, არავის, თუ გინდ ისეთ დიდ პიროვნებასაც კი, როგორიც იყო გ. პლეხანოვი. რუსეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნ. სუხანოვი ჩხეიძის ამ თვისებას ჯიუტობით ხსნის. ეს არ არის სწორი, ვინაიდან არავინ ისე ფაქიზათ არ ეპყრობოდა სხვის აზრს და არ სცემდა პატივს მას, როგორც კარლო.

— ჩხეიძე გაუბედავი პოლიტიკოსიაო, ხშირათ გაგვიგონია და ამას მას დიდ ნაკლუნებათ უთვლიდენ.

მართალია, ჩხეიძე «გაუბედავი» იყო, ის ასჯერ ზომავდა და ერთხელ სჭრიდა. მაგრამ ეს მას სიფრთხილით კი არ მოსდიოდა, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობით და შეგნებით. ჩხეიძე ეკუთვნის პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც საზოგადოებას ზევიდან ქვევით არ დასცქერის, რომელიც თავის თავს ზე-კაცათ არ თვლის; რომელსაც თავისი თავი «შეუმცდარ რომის პაპათ» არ მიაჩნია. ჩხეიძე ლენინი სებურათ არ ფიქრობს, რომ ჭეშმარიტების თქმა მხოლოდ მას შეუძლია და სხვას არავის. ლენინისთვის ხალხი, საზოგადოება, პარტია, უბრალო მასალაა, იარაღია, რომლის საშუალებითაც მან თავისი იდეია უნდა განახორციელოს. ამიტომ ასეთი ტიპის მოღვაწეები ყოველ კითხვას იოლათ წყვეტენ. ისინი წინაც ადგილათ სდგამენ ნაბიჯს და უკანაც იოლათ იხევენ, და როცა მარცხდებიან—დამნაშავეს სხვაში ეძებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი არც გამარჯვების დროს და არც დამარცხებისას—პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. ასეთი ტიპები უმთავრესათ ცინიკები არიან. გარეგნულათ ეფექტს ახდენენ, ხმაურობენ. მაგრამ ერთს რომ აკეთებენ—ათას აფუჭებენ.

ჩხეიძე ამათ არ გავს, ის ასჯერ ზომავს და ერთხელ სჭრის. რადგან სწამს, რომ იგი საზოგადოებას ეკუთვნის და არა საზოგადოება მას და რომ ის ამ საზოგადოების წინაშე, როგორც მის მიერ ნდობით აღჭურვილი, ყველაზე მეტად პასუხისმგებელია.

პასუხისმგებლობის შეგნება მას ყოველთვის თან დასდევს. ამიტომ ის ახლოს განიცდის მას, რასაც განიცდის მისი ხალხი, მისი ერი და მისი პარტია. კარლოს ტრაგედიის მიზეზიც ამაში უნდა ვეძიოთ.

სიბრიყვე იქნებოდა იმის თქმა, რომ კარლო პესიმისტი გახდა, რომ მას გული გაუტყდა სოციალიზმსა და დემოკრატიაზე და აღარ სწამდა საქართველოს მომავალი. არა. მას სტანჯავდა ქართველი ერის დღევანდელი, წარმავალი უბედურება, და თავისი პარტიის დღევანდელი სატკივარი და ამ ნიადაგზე აღმოცენდა მისი ტრაგედიაც.

როგორც პიროვნება—ჩხეიძე გამონაკლისს შეადგენდა: სპეტაკი, უბრალო, დარბაისელი და ბუნებით დემოკრატი ყველაში პატივისცემასა და სიმპატიას იწვევდა. პოლიტიკურ კარიერას ის არ დაუბრმავებია, არ გაუამაყებია. რუსეთის რევოლიუციის მესაჭე ჩხეიძე ისეთივე უბრალოა, როგორიც იყო მაშინ, როდესაც 7 მანეთიანი ნაბად მოხურული სოფლიდან სოფელში დადიოდა და აგიტაციას ეწეოდა. დამ. კრების თავმჯდომარეც ისეთივე დემოკრატია, როგორც იყო ჩვენი რედაქციის ნახევრად მშიერი თანამშრომელი. არც ხალხს, არც საზოგადო დაწესებულებას და არც რკინის გზას ჩხეიძის გადიდკაცება არ უგრძვნია. ვისაც სურს ძალა-უფლებამ არ დააბრმავოს, ჩხეიძე მოიგონოს, მისგან აიღოს მაგალითი.

ჩხეიძე ჩვენ ცხოვრებაში შემთხვევითი პოლიტიკური მოღვაწე არ იყო. ის ქართველ დემოკრატიასთან ერთათ დაიბადა და გაიზარდა. მასთან ერთათ განვლო პოლიტიკური გზა, განიცადა ჭირი და ლხინი, გამარჯვება და დამარცხება. მისი ისტორია გვეუბნება და გვასწავლის: ა) ქართველ ერს შეუძლია დიდი პოლიტიკური მოღვაწეთა წარმოშობა და აღზრდა მაშინაც კი, როცა იგი უფლება აყრილია. ბ) ქართველი დემოკრატიის იმედი, რომ იგი რუსეთის დემოკრატიასთან ერთათ შესძლებს თავისუფლებისა და სამართლიანობის დამყარებას, ისტორიამ არ გაამართლა. ჩხეიძე გულწრფელათ იბრძოდა ამ გზაზე, მაგრამ რუსეთის ხალხმა იგი უარყო, ხოლო ჩხეიძე და ქართველი ერი განუყოფელი დარჩენ, მათ შორის გაუგებრობა და კონფლიქტი არ მომხდარა. ისინი ერთმანეთს მხოლოდ გარეშე ძალამ დააშორა. დააშორა მხოლოდ ფიზიკურათ და არა იდეიურათ.

ჩხეიძეს სტანჯავდა არა ის, რომ ქართველმა ერმა და მან ერთმანეთს ვერ გაუგეს. არა. ამ მხრით ისინი ერთათ იყვნენ და ერთათ დარჩენ. მას აწუხებდა ის, რომ იგი და ქართველი ერი გარეშე, უხეშმა ძალამ მოსწყვიტა ერთმანეთს. ძალით ხელოვნურათ გაშორება ერისა და მისი ხელმძღვანელების, აი სად არის ქართველი ერისა და ჩხეიძის დღევანდელი ტრაგედიის სათავე.

განთავისუფლება გარეშე ძალმომრეობისაგან ქართველი ერის, აი ხალხის წარმომადგენელის ანდერძი.

ნიკ. ჯუმბურიძე.

კ. ჩხეიძის დასაფლავება. სიტყვას ამბობს ბ-ნი ბრაკი.

კიდევ ერთი დიდი მსხვერპლი.

შესრულდა კიდევ ერთი აქტი ჩვენი ტრაგედიის, საქართველოს მწარე ბედის, მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორიის.

საქართველოს განთავისუფლებისათვის, მისი ბედნიერი მომავლისათვის, მისი ადამიანური არსებობის მოწყობისათვის მებრძოლ მამულიშვილებს გამოაკლდა ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი.

კ. ჩხეიძე არ გაუგმირავს ბოლშევიკების მურტალ ტყვიას, მის სხეულს არ შეხებია ჩეკისტის ბინძური ხელი, მისი გვამი არ უთრევიათ მოსკოვის ჯალათებს. მაგრამ მთელი ხუთი წლის განმავლობაში ის იყო ნაწამები იმ აუტანელი მდგომარეობით, რომელიც გამეფებულია დღეს საქართველოში—მისი აოხრებით, განადგურებით, ერის ღირსების გაუპატიურებით, ხოცვა-ყლეტით, ჩეკასა და სატუსაღოებში გამომწყვდეულთა ნაღველით და უცხო მხარეებში გარდახვეწილთა კვნესით.

მოძალადენი დაეპატრონენ საქართველოს, სჯიჯგნიან და ფეხით სთელავენ ყოველ მის უფლებას, ახრჩობენ ქართველი ხალხის სულს, სპობენ მის შემოქმედებას და კულტურას, სძარცვავენ და ანიავებენ მის სიმდიდრეს—და ყველაფერმა ამან სისხლი გაუშრო მამულიშვილს, მოუშხამა სიცოცხლე, დაუკარგა სიმშვიდე, დაქანცა, დააუძლურა და ბევრი ჭირის ნახული მოხუცი დაეცა...

არასოდეს, ერთს წუთსაც არის არ შედრეკილა მისი რწმენა, შეურყეველის იმედით იხედებოდა წინ და იცოდა, რომ ქართველი ხალხის დღევანდელი ტანჯვა დროებითია, რომ დღითი დღე ახლოვდება მისი აღდგენის ჟამი. მაგრამ მებრძოლის მეტად მგრძნობიარე გული დასერა მაინც მშობელი ქვეყნის აწინდელმა მდგომარეობამ, დასწვა ერის ტკივილებმა და შეწყდა ღრმად მოყვარული გულის ცემა.

იგი შეიწირა სამშობლოს და ხალხის სიყვარულმა. იგი მსხვერპლია ბოლშევიზმის, მოსკოვის ვერაგობის და მხეცობის. მისი ტრაგედია არის ტრაგედია მთელი ქართველი ხალხის და მისი ხსოვნა და სახელი ერთს გვავალებს ყველას:

განვაგრძოთ ბრძოლა მხნედ საქართველოს განთავისუფლებისთვის, ქართველი ერის ღირსებისთვის!

ხ. ფირცხალავა.

კ. ჩხეიძის დაგრძალვა.

კარლო ჩხეიძის ტრაღიკულ დასასრულს დიდის მღელვარებით და ქართველი ერისამდი ღრმა თანაგრძნობის გამოცხადებით გამოეხმაურა ევროპის საზოგადოებრივი აზრი. მის დაკრძალვას, რომელიც მოხდა 15 ივნისს პერლაშეზის სასაფლაოზე, მთელ პარიზელ ქართველობას გარდა, დაესწრენ ევროპის სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეების წარმომადგენლები, აგრეთვე მრავალი რუსი ემიგრანტი. კუბო შემკული იყო გვირგვინებით: საქართველოს ეროვნულ მთავრობისაგან, დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წევრებისაგან, დამფუძნებელ კრების დეპუტატებისაგან, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დელეგაციისგან უცხოეთში, საქართველოს საელჩოსაგან პარიზში, საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიისაგან, ამავე პარტიის ორგანიზაციისაგან პარიზში, ქართველთა ასოციაციისაგან საფრანგეთში, ოდენკურის ქართულ კოლონიისაგან, ქართველ ქალებისაგან, ქართველ მეომართაგან, ქართველ ექიმთა ასოციაციისაგან ევროპაში, ლევილის ქართველებისაგან, სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალისაგან, ადერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგაციისაგან, რუსეთის სოც. დემ. პარტიის დელეგაციისაგან უცხოეთში, რუსეთის სოც. რევ. პარტიისაგან, ებრაელთა სოც. პარტიისაგან(პოალე ციონ) და სხვა.

კ. ჩხეიძის ცხედარს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა პირველათ საქართველოს ეროვნულ მთავრობის სახელით (ქართულათ) ე. გეგეჭკორმა. შემდეგ ილაპარაკეს: სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალის დელეგატმა, ცნობილ ფრანგ სოციალისტმა ბრაკემ, რუსეთის სოც. პარტიათა (ს.-დემ. და ეს-ერების), პოლონეთის სოც. პარტიის, ებრაელთა სოც. პარტიის (პოალე ციონ) წარმომად. სევერაკმა, ლეონ ბლიუმმა და რენოდელმა ფრანგ სოციალისტებისაგან, საფრ. შრომის კონფედერ. გენერ. მდივენმა ლეონ ჟუომ, «ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დაცვის ლიგათა საერთაშორისო ფედერაციის დელეგატმა, ა.—ფ. ჰეროლდმა, ა. ხატისიანმა. ალი მარდან ბეი თოფჩიბაშიმ, ბ-ნმა პუსტამ, ესტონეთის ელჩმა პარიზში, გ. გვაზავამ, ბ. ფ. კერენსკიმ და, დასასრულ, უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულათ ირ. წერეთელმა.

ჩვენი დიდი მოღვაწის ხსოვნას განსაკუთრებული პატივი სცეს ფრანგ სოციალისტებმა, რომელთაგან გამოცხადდენ როგორც საპარლამენტო ჯგუფის ლიდერები: ლეონ ბლიუმი, რენოდელი, მუტე; აგრეთვე ც. კ—ის წევრები: ჟან ლონგე, სევერაკი, გრუმბახი და სხვ. განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო ლეონ ბლიუმის სიტყვა, რომელმაც კ. ჩხეიძის ცხედრის წინაშე უღრმესი მღელვარებით აღთქმა მისცა თავის ქართველ ამხანაგებს, რომ ფრანგი სოციალისტები არასოდეს მოიხრიან ქედს საქართველოსადმი ჩადენილ ბოროტების წინაშე და არასოდეს დასტოვებენ ამ ბოროტების მსხვერპლს, ქართველ ერს...

აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ სამძიმრის დეპეშებს და ბარათებს მიღებულს კ. ჩხეიძის გარდაცვალების გამო საქ. საელჩოს მიერ პარიზში, რომლებიც არ ყოფილა გამოქვეყნებული:

ბ. რეიმონ პუანკარესაგან, გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებესაგან, საფრანგეთის საგარეო სამინ. წარმომადგენელ ჟ. ბონენისაგან, სენატორ ლ. იუბერისაგან, საფრ. უმაღლეს სამხედრო განათლების ხელმძღვანელ პოლკოვნიკ ფურნიესაგან და სხ.; პოლონელ სახელმწიფო მოღვაწე ენოლლის, ბარანოვსკის და ლეშჩინსკისაგან, ამერიკაში კავკასიის საზოგადოების წევრების—ჯონ სტიუარტის, ჰენრი ლანის, ვილსონის და ვ. დუმბაძისაგან, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო საზოგადოებისაგან ყენევაში ბ. ჟან მარტენისაგან, თურქესტანელ მოღვაწის მუსტაფა ჩოკაევისაგან და სხ. და სხ.

პრაღაში (როგორც უცხოეთის სხვა ადგილებშიც) 21 ივნისს ადგილობრივ ქართველებმა გადაიხადეს სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც ქართველობის გარდა მრავალი ჩვენი უცხოელი მეგობრები დაესწრენ. პანაშვიდზე, სხვათა შორის, ძლიერ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ჩეხოსლოვაკიის სენატის თავმჯდომარის ამხანაგმა სოუკუპმა. დაწვრილებით დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა და ღრმა მღელვარებით გამოხატა ჩეხების სიმპატია ქართველი ერისა და მისი განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი.

«ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დაცვის ლიგათა» საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც შესდგა ბრიუსელში ივნისის დამლევს, გახსნისთანავე ფეხზე ადგომით პატივი სცა კ. ჩხეიძის (ქართული ლიგის თავმჯდომარის) ხსოვნას და ერთხმათ მიიღო შემდეგი სამძიმრის ტექსტი: «მოისმინა რა ცნობა ქართველი ლიგის თავმჯდომარის და ადამიანის, მოქალაქის და ერთა უფლებების შეუპოვარი დამცველის, ნ. ჩხეიძის ტრაღიკული გარდაცვალების შესახებ, კონგრესი ღრმა მწუხარებას უცხადებს ქართულ ლიგას და კვლავ გამოსთქვამს თავის ცხოველ სიმპატიას ჩაგრულ ქართველ ხალხისადმი».

«რექტორი» ღლონტი.

ამბობენ, რომ კალიგულამ თავისი ნებიერი ცხენი სენატორად დანიშნა. აქამდისინ ეს საქციელი ადამიანის უგუნურების ნიმუშად ითვლებოდა. მაგრამ დღეს შეიძლება ითქვას, რომ კალიგულა უკანასკნელი არ იყო კაცთა შორის და მისი საქციელი უკანასკნელი ადამიანის საქმეთა შორის. ცხენი, თუ მეტადრე იმპერატორის ცხენიც არის, ესე იგი, საუკეთესო ცხენთა შორის, კეთილშობილი ცხოველია. ჰომიროსი აგვიწერს როგორ ერთგულად იხოცებოდნენ, ბერძნის გმირებთან ერთად, ცხენებიც, ტროას ომში. დასასრულ ცხენებს იმდენი უზიდიათ თავისი ზურგით ადამიანის ტვინი და ფიქრი, რომ ბევრი რამ ადამიანური და მაშასადამე სენატორული, იქნება გადაედო კიდევაც. ჰეგელს სხვანაირად არც კი ჰქონდა წარმოდგენილი, ეგრედ წოდებული, კატეგორიული იმპერატივი, თუ არა ნაპოლეონი ცხენით.

მაგრამ ჯერ არსად წამიკითხავს, რომ უნივერსიტეტის რექტორად ხბო დაენიშნოთ. ქართული უნივერსიტეტის რექტორად თედო ღლონტი დანიშნეს. ეს არარაობა იმდენათ უყვართ საქართველოში, რომ მის ხბოდ მონათლას, ვიცი, მოწიწებაში ჩამითვლიან, თუ თითონ თედო ღლონტის მიმართ არა, იმ უნივერსიტეტისა მაინც, რომელსაც ამიერიდგან ის რექტორობს. სადაური გულის მოფხანაა, მართლაც, ეპოხის ასეთ გაიძვერას, ხბო უწოდო! ჩვენ სასტიკ და უკმეხ დროში ადამიანებმა უფრო მკვახე სახელები დაიმსახურეს, მაგრამ რაოდენადაც დღევანდელი ქართული ცხოვრების სტილს მეცა ვგრძნობ, ხბოს თავი ქართული უნივერსიტეტის გუმბათზედ, მართლა და, ნამდვილი სიმბოლოა ჩვენი გასულელებული დროსი.

უცნაურია ბოლშევიზმი! საკმაოა მის რიგში ჩადგე და ჯერი უსათუოდ მოგივა. ჯერი მოუვიდა თედო ღლონტისაც. მხცოვანი პეტრე მელიქიშვილის, უებარი ივანე ჯავახიშვილის, არსენ იყალთოელის, გაიოზ ნაცვლიშვილის, «მაღალშობილი რექტორის»», როგორც უძახდა თავის თავს თელავის აკადემიის უკანასკნელი რექტორი—დავით ალექსიძე და სხვა შენახულ, თუ დაკარგულ სახელების შემდეგ, რომლებიც მწყსიდნენ უხსოვარ დროიდგან ქართულ მეცნიერებას და განათლებას—ქართული გონების ტახტზედ თედო ღლონტიმ მოიკეცა! რა არის ეს? ვსთქვათ ერთხელ კიდევ, რომ ეს ბოლშევიზმია? ბოლოს და ბოლოს ასეთი ლაპარაკი მოსაწყენი ხდება. ვის რა, მერე, ბოლშევიზმი დაუძახო იმას, რისიც ერთადერთი სახელი უგუნურებაა. განა ცხადი არ არის, რომ ჩვენს სამშობლოში სულელები გამოეყვნენ ჭკვიანებს, ურიგონი რიგიანებს, პირი შეჰკრეს და ქვეყანას ასულელებენ. და ამ სისულელისგან საქართველო იღუპება! კაცი რომ ბოლშევიზმის შინაარს ჩასწვდეს, უნდა გაითვალისწინოს, რა როლს თამაშობენ მის ვითარებაში არა ბოლშევიკები. ბოლშევიზმი ეუბნება ადამიანებს: მე გავაკეთებ ყველაფერს, შენ გააკეთე დანარჩენი! ბოლშევიზმა ვერაფერი გააკეთა, მაგრამ ადამიანებმა დანარჩენი ყველაფერი გააკეთეს. ბოლშევიზმი სწორედ ეს «დანარჩენი» გახლავთ და თედო ღლონტი მუდამ ამ დანარჩენს აკეთებდა.

არსებობს ორი საშუალება რექტორად გახდომისა. ერთი ძველია და ის მოითხოვს მეცნიერად ყოფნას, მეორე ახალია და აქ მარტო ბოლშევიკობაც კმარა. რომელია ამათგანში თედო ღლონტი? იქნება იგი პროფესორია? თედო ღლონტი სტუდენტიც არ ყოფილა. მაშ, იქნება ბოლშევიკია? რის ვაი-ვაგლახით კომპარტიაში ისიც ეწერა, მაგრამ ასე ეწერა ის სხვა პარტიებშიაც. აქვს რამე ფასი ამ პროზელიტობას? ბოლშევიკებს პროზელიტები არ უყვართ. თედო ღლონტი რექტორად გახდა სრულიად მესამე თვისების გამო, რომელიც ადამიანის სულის უდიერ სიმდაბლეში მდგომარეობს. სწორედ თედო ღლონტი და პროფესორი შალვა ნუცუბიძე იყვნენ, რომლებმაც, რუსეთის საქართველოში შემოსევას, პირველებმა გამოუცხადეს ერთგულება. ნუცუბიძემ თავი მაშინვე პოლიტიკის გარეშე აღიარა და ეს ბევრს დიდი ოსტატობა ეგონა. თედო ღლონტიმ პოლიტიკა განაგრძო და უფრო მოხერხებული გამოდგა. დაპლომიანი მეცნიერი პროფესორობას ვერ გასცილდა, საგაზეთო წერილების კომპილიატორმა და პლაგიატორმა რექტორის მაღალი ხარისხი იშოვნა. ბოლშევიკური კარიერის უფრო მხიარული შემთხვევის წარმოდგენა შეუძლებელია. მაგრამ რა სამწუხაროა თვით უნივერსიტეტისათვის, როცა რექტორებს პოლიტიკურ გაიძვერებში და მეცნიერულ ბრიყვებში ეძებენ!

რითი მივიდა თედო ღლონტი უნივერსიტეტში? როგორია მისი პროგრამა? თავისი დანიშვნის მეორე დღეს, ახალმა რექტორმა, გაზეთ «კომუნისტში», წერილი მოათავსა, სათაურით, «რუსული ენა და ჩვენი ინტელიგენციის ექსპორტი». ასე არ უწერიათ თვით ბოლშევიკებსაც. ოთხმოციან წლებში გიორგი მუხრან-ბატონმა დაბეჭდა წიგნაკი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ დიდმა ერებმა პატარა ერები უნდა სჩანთქანო. ამაზედ ილია ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი ლექსით უპასუხა:

თუ გინდა, ძმაო, იგემო ამა ქვეყნისა შვებანი,
დიდთა საფეროთ მომართე შენი გულის თქმის ებანი.
მერე ბრძნობით შეიმოსე, მძლავრთა უკმიე, სხვათ არა,
და იქადაგე, წესია, რომ დიდმა ყლაპოს პატარა!

გესლიანი ექსპრომტითვე უპასუხა დავით ერისთავმა და დასასრულ ვრცელი და გესლიანა პასუხი გასცა გაბრიელ ეპისკოპოსმა. მუხრან-ბატონი ქართული უნივერსიტეტის რექტორი არ იყო და იყო რუსის სენატორი, ქართველებმა პასუხი მაინც გასცეს. თედო ღლონტი ქართული უნივერსიტეტის რექტორია, მაგრამ ქართველებს უფლება აღარა აქვთ სიტყვა შეუბრუნონ.

თედო ღლონტს ქართველი ხალხი ექსპორტის მასალად ჰყავს დასახული, რადგანაც ის იძულებულია სამუშაო სხვაგან ეძებოს (რატომ არის იძულებული?). მისთვის რუსული

უფრო საჭირო ყოფილა, ვიდრე ქართული. მაგრამ ეს ცოტაა. საქართველოს თვით ქართველი ინტელიგენცია აღარ ესაჭიროება. თედო ღლონტის აზრით ქართულ საქმეს რუსი უკეთ გააკეთებს. განათლებული რექტორის სიტყვით ქართული ენა რუსთაველი და ჩახრუხაძე კი არ არის, არამედ ის ქართველ ლაქია, რომელიც ბორისოგლებსკში «ნაჩაის» იღებს. «მომეცით ეკონომიკა და მე მოგცემთ საუკეთესო ენას!» ჰყვირის პათოსით ეს ახალი პატრუქი ქართული აზროვნებისა. რა არის ეს ეკონომიკა? ეკონომიკა, ბ-ნ რექტორის აზრით, რუსეთში გადასახლებული საქართველო ყოფილა. რაღა არის საქართველოში გადმოსახლებული რუსეთი? ეს ოქტომბრის რევოლიუციის ენაა! «მაგრამ ჩვენ მას მოვითხოვთ იმიტომ კი არა, რომ ის რევოლიუციის ენაა, არამედ ის ჩვენი ინტელიგენციის ენაა, ჩვენი მარჩენალი ენაა, ჩვენი გაზრდის იარაღია.... ქართული ენის გამაგრება მხოლოდ რუსული ენით შეიძლება».

და ამას ამბობს ქართული უნივერსიტეტის რექტორი!

ეს ბოლშევიზმიც აღარ არის. ეს გაცილებით მეტია და უარესი ვიდრე უნივერსიტეტის ჩვეულებრივი გაბოლშევიკება. უნივერსიტეტის გაბოლშევიკება მოითხოვს, რომ რექტორად ისეთი კაცი იყოს, როგორიც არის მაგლითად თედო ღლონტი, აკადემიურ სენატში კ. სულაქველიძე იჯდეს. საგნებში ბუხარინის «პოლიტგრამოტა» იკითხებოდეს და მსმენელებათაც ლაწირაკები იყვნენ. კლასიკური ბოლშევიზმი ასეთია და გამოტეხილად უნდა ვსთქვა, კაცი იქნება ამასაც შესჩვეოდა. რათ უნდა იყოს, მართლაც, რიგიანობა მარტო უნივერსიტეტში, როცა დანარჩენ ცხოვრებაში ურიგობა სუფევს.

ის, რასაც თედო ღლონტი თავის უნივერსიტეტისათვის და ოავის ხალხისათვის მოითხოვს, რუსიფიკაცია და ქართული ენის სრული მოსპობა არის. მისი სახით ლაპარაკობს არა თავაშვებული ბოლშევიზმი, არამედ ჩვენი ნაცნობი ძველი რუსეთი, მოყოლებული მამა ვოსტორგოვით და გათავებული სრულიად რუსეთის სტაროსტა კალინინით. ჩვენც ამას ვამბობდით მუდამ. ჩვენ მუდამ ვეუბნებოდით ქართველ ხალხს, რომ საქართველოს გასაბჭოება—საქართველოს გარუსებაა. ამას არ ამბობდენ მხოლოდ თითონ რუსები, მაგრამ თედო ღლონტიმ გასცა ისინი. ეხლა ქართველ ხალხს ეცოდინება, რა საშინელებას უმზადებენ მას და რა საშინელი ცანიზმით სურთ ამ გეგმის სისრულეში მოყვანა.

ქართველებო, იფხიზლეთ!

შ. ამირეჯიბი.

უცხოეთის მიმოხილვა.

კბილები გაუსინჯეს.

ვგახსოვს, როგორი თავაზიანი კილოთი გააფრთხილა ჩიჩერინი ჩემბერლენმა, გასულ ივნისს, იმის გამო, რომ მოსკოვის მთავრობამ ნება დართო რუსეთის პროფკავშირს გადაეგზავნა ფული ინგლისში საყოველთაო გაფიცვის დასახმარებლათ. ჩემბერლენს თითქოს არც კი შექონდა იჭვი იმაში, მართლა პროფკავშირის იყო ეს ფული თუ ხაზინის; ის სდუმდა იმაზედაც, რომ რუსეთის პროფკავშირი განაგრძობს ფულის გზავნას გაფიცულ მემაღაროთა სასარგებლოთ.

მაგრამ რაც უფრო თავაზიანი ხარ კრემლის მედროვეთა მიმართ, მით უფრო უკმეხი და თავაშვებული ხდებიან ესენი. ჩემბერლენის გაფრთხილება რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევად ჩასთვალეს მათ, მორთეს ღრიალი, მუშები ქუჩაში გამორეკეს სადემონსტრაციოთ, ხოლო ჩიჩერინი უპასუხებდა თავის «კოლეგას» ლონდონში, რომ რუსეთში მუშათა ორგანიზაციები სრულიად თავისუფალი არიან თავიანთ მოქმედებაში და აქედან მათ დიახაც შეეძლოთ ფულის გადაგზავნა ინგლისელ ძმებისთვისო.

ამ ტლანქმა სიყალბემ, სჩანს, მოთმინებიდან გამოიყვანა ინგლისის ფინანსთა და კოლონიის მინისტრები, ჩერჩილი და ბერკენჰედი, და მათ საჯაროო კრებებზედ გაილაშქრეს მოსკოვის «არამზადების» წინააღმდეგ. მათი კვალიფიკაცია რომ ვიხმაროთ. ჩერჩილი თავს ესხმოდა ლოიდ ჯორჯსაც, რომელმაც გაბა პირველათ დამოკიდებულება მოსკოვთან, და სრულიად გადაჭრით აფრთხილებდა ინგლისის ვაჭარ-მრეწველებს და ფინანსისტებს, არ გაგიწყრეთ ღმერთი და არ დაენდოთ მოსკოვს, თორემ დაღუპავთ ქონებას და ინგლისის ხაზინა კი არავითარ გარანტიას არ იკისრებს თავის თავზეო.

ამას ზედ მოჰყვა შეკითხვები ინგლისის თემთა და ლორდთა პალატაში და ჩემბერლენის და ბალფურის პასუხები. რა სთქვეს ინგლისის კონსერვატიზმის ამ ხელმძღვანელებმა? მოსკოვი ვერ გაგვაცურებს, იქ არც ერც ერთი ორგანიზაცია არ არის თავისუფალი და დამოუკიდებელი, მთავრობა, კომინტერნი, თუ პროფინტერნი პოლიტბიუროს განკარგულებაშია და მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან ასახდელად გამოჰყავს მას ხან ერთი და ხან მეორე სცენაზედო—აი, დედაზრი მათი პასუხისა. მიუხედავათ ამისა, ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელნი არ სთვლიან მიზანშეწონილათ მოსკოვთან სავაჭრო და დიპლომატიურ დამოკიდებულების გაწყვეტას. ჩვენ რომ ეხლა გვიხდებოდეს—ამბობდენ ისინი—მოსკოვთან სავაჭრო და დიპლომატიურ დამოკიდებულების აღდგენა, რა თქმა უნდა, ამას არ ვიქდით, მაგრამ ერთხეთ აღდგენილს ვერ გავწყვეტთ, რადგან ეს ცუდ გავლენას მოახდენს ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკაზე ევრპაშიო.

ამრიგათ მოსკოვი ჯერ თითქოს გადარჩა ხიფათს, მაგრამ ვაი ასეთ გადარჩენას. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰიკსმა გამოაქვეყნა ადგილობრივ კომუნისტებისგან ჩამორთმეული ზოგიერთი საბუთი, საიდანაც ნათლათ სჩანს მოსკოვის სავაჭრო და «არკოსის» წარმომადგენლობის მუშაობა ლონდონში »მსოფლიო რევოლიუციისათვის, ფულის მიღება მოსკოვიდან კომუნისტურ ორგანიზაციების შესანახად და სხ. ცხადია, რაც დღეს მიზანშეუწონელათ მიაჩნია ჩემბერლენს, ის შეიძლება მიზანშეწონილათ დაინახოს ხვალ და გასწყვიტოს დამოკიდებულება მოსკოვთან. როგორც ამას ბევრი მოითხოვს რომ ეს ასეა, სჩანს იქიდანაც, რომ ბოლდვინმა და ჩემბერლენმა სავსებით გაიზიარეს თემთა პალატაში ჩერჩილის და ბერკენჰედის დაუზოგველი გალაშქრება მოსკოვის ვერაგობის წინააღმდეგ.

საბჭოთა დაქირავებულ კალმების წრიპინი და ულაზათო კარიკატურები ვერ დამალვენ მოსკოვის შიშს, რომ საცაა ხიდი ჩაიმტვრევა და შიდ მორევში გაადენენ თქვეფას. კბილები გაუსინჯეს...

მუსოლინი.

მუსოლინს ჰკითხა ამას წინეთ ერთმა კორესპონდენტმა, ხომ არ ფიქრობთ მოსკოვთან საკავშირო ხელშეკრულების დადებასო, და მიიღო შემდეგი პასუხი მისგან: ქალ-ვაქის შეუღლება ხშირათ სიყვარულით ხდება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ის ანგარიშით ხდება; მე არ ვეკუთვნი პირველ კატეგორიას, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მე დავუკავშირდე მოსკოვს ანგარიშით.

ამ პასუხით დუჩემ (ბელადი, მუსოლინის მეტი-სახელი) გაკვრით დაახასიათა მზგავსება და განსხვავება მოსკოვისა და რომის დიქტატურის. განსხვავების აღსანიშნავათ საკმარისია მივუთითოთ სოციალ-ეკონომიურ ბაზაზე, რომელსაც მუსოლინისთვის შეადგენს კერძო საკუთრება და მისი უაღრესი დაცვა, ხოლო ლენინისთვის მას შეადგენდა ნაციონალიზაცია-სოციალიზაცია. დღეს ეს განსხვავებაც იშლება ნელ-ნელა, რადგან ლენინის ღირსეულნი მემკვიდრენი ნეპმანები გახდენ და, რაც სახელმწიფოს შერჩა, თავიანთ სექტის საკეთილდღეოთ იყენებენ, მშრომელ ხალხს კი ისე ყვლეფენ, როგორც არასოდეს.

უფრო საყურადღებოა მზგავსება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეტყუპებამდის მიდის, და ვრცელდება დაქტატურაზე და მართველობის სისტემაზე. მუსოლინი ხომ თავიდანვე დემოკრატიზმს და პარლამენტარიზმს აუმხედრდა, ეს იყო და არის ფაშიზმის დედა-აზრი. როგორც საშუალება, მუსოლინმა შექმნა შეიარაღებული ლაშქარი, რომელიც მძვინვარებს მთელ იტალიაში; მისი ხელები ყველგანაა, ყოველ დარგში და დაწესებულებაში, ფათურობს ყველა მოქალაქის გულში და სულში. აღკვეთილია თავისუფლება წერისა, ლაპარაკისა, კავშირისა...

ეხლა ხან მუსოლინმა საძირკველი ჩაუყარა მართველობის ახალ სისტემასაც: ის ყოფს მთელ ხალხს 15-მდე კორპორაციად, დარგის მიხედვით, სადაც მგელი და ცხვარი ერთ ფარეხშია შერეკილი, და ამის გუმბათი ცალკე სამინისტრო იქნებარა თქმა უნდა, თვით დუჩეს მეთაურობით. ამ სისტემაში ახალი ისაა, რომ ეს ვაკბატონი ისტორიის მოტრიალებას და 40-მილიონიან თანამედროვე ერის საშუალ-საუკუნის ჯადრაკში ჩასმას ლამობს. მაშასადამე, მუსოლინს ეხლა თავისი სახელმწიფო სისტემაც აქვს—კორპორაციები, როგორც მოსკოვს—საბჭოები.

რა გამოვა აქედან, არ არის იმდენათ საინტერესო, რამდენათ კითხვა: როდის დაემხობა ერთიცა და მეორეც, რადგან დამხობა უდაოა თვით დიქტატორებისთვისაც.

საერთაშორისო შრომის ბიურო.

გასულ თვეს ჟენვაში საერთაშორისო შრომის ბიუროს კონფერენცია მოხდა, რომლის წესრიგს შეიცავდა მეზღვაურთა შრომის პირობები და საერთო წესების შემუშავება, მსოფლიო მასშტაბით.

კონფერენციას წინ უძღოდა ბიუროსათვის შეძენილ «შრომის სასახლის» გახსნა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს ერთა ლიგაში წარმოდგენილ სახელმწიფოებმა. შრომის ბიურო, რაც დრო გადის, მით უფრო აგანიერებს თავის სამოქმედო ასპარეზს და მისი მნიშვნელობა ლიგაში თანდათან უაღრესი ხდება. დიდი ხანია, ბიუროს უთვალავ განყოფილებებს ვერ იტევდა ლიგის შენობა. არ არის ისეთი დარგი შრომისა და საზოგადოთ სოციალურ კანონებისა, რომელშიდაც ბიურო არ იჩენდეს უმაღლეს აქტივობას. ცალკე სახელმწიფოებიც ხომ მას მიმართავენ ცნობებისა და რჩევისათვის. ბიურო ერთგვარი მეთვალყურეა, თუ გნებავთ, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, შრომის დარგში, სათანადოთ სრულდებოდენ. ამის გარდა, ბიურო სპეციალურათ ირკვევს და მთელ ტომებს აქვეყნებს ზოგიერთ ჩამორჩენილ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე. წელს, მაგ., ფრიად მნიშვნელოვანი მოხსენება გააკეთა ბიუროს დირექტორმა ალბერ თომამ რუსეთის ეკონომიურ ტენდეციებზე, ბოლშევიკურ რეჟიმის ქვეშ, და ბევრი მწარე სიმართლე უძღვნა მას.

ორგანიზაციულათ ბიურო ერთა ლიგის ნაწილად ითვლება, და მასში წარმოდგენილი არიან თვითეულ სახელმწიფოს მთავრობა, პატრონები და მუშათა პროფკავშირები, თანასწორი ხმით. ეს კი არ არის სამართლიანი განაწილება, რადგან დღევანდელი მთავრობები და პატრონები ერთი და იმავე აზროვნების ხალხია, რაისათვის მუშები ხშირათ უმცირესობაში რჩებიან.

აი, ერთი მაგალითიც: იტალიის ფაშისტურ პროფკავშირის დელეგატმა როსონიმ მოითხოვა ბიუროს კონფერენციაზე დაშვება. ამას სასტიკათ წინააღუდგენ ყველა ქვეყნის მუშათა დელეგატები და, მიუხედავათ ამისა, როსონი მაინც დაშვებულ იქნა! როსონი შემდეგ მუსოლინს ემთხვია იმ ხელზე, რომელმაც ერთის მოსმით 8-საათის სამუშაო დღე 9 საათით შეცვალა იტალიაში! ესე იგი, მოიქცა იმის წინააღმდეგ, რაც საერთაშორისო შრომის ბიუროს დიდ მიღწევას შეადგენდა კიდევ ვაშინგტონის კონფერენციიდან.

ფელიქს დზერჟინსკი.

ლენინის შემდეგ ასეთი დიდი დაკარგვა არ განუცდიათ მოსკოვის მედროვეთ. ვინ არ იცის, ვინ იყო დზერჟინსკი, ვის არ მორევია ბრაზი მისი სახელის გაგონებაზე, ვის არ უხსენებია ის წყევლითა და კრულვით? ჩვენ გვახსოვს ვლ. სოლოვიევის წინასწარმეტყველება—რუსეთს ანტიქრისტე მოევლინება ყვითელ-კანიან ქვეყნიდანო, და ეს იყო, როგორც ვიცით, ლენინი-ულიანოვი; და მართლაც ვისაც უნახავს მისი სახე და ზედ წვრილი თვალები, გამოშვერილი ქალა და ფართე ტუჩი, უნებურათ დაიჯერებს სოლოვიევის წინასწარმეტყველებას! მაგრამ, თუ ლენინი ანტიქრისტე იყო, დზერჟინსკი—მისი ტარტაროზი. რამდენი ათასი, ასი ათასი და მილიონი ადამიანი მოსპო ამ ჯალათმა! თავმჯდომარე დასაწყისიდან სრულიად რუსეთის ჩეკისა, შემდეგ გეპეუსი, ის გულგრილათ წლითი-წლობით, დღითი-დღე ასალმებდა სიცოცხლეს უამრავ ხალხს, ახალგაზდას და მოხუცს, ვაესა და ქალს. ერთში უეჭველათ გაუსწრეს მოსკოვისტებმა მსოფლიოს: ჩეკით. ასეთი საშინელი დაწესებულება არ მოსწრებია არც ძველს და არც ახალ დროს. დზერჟინსკიმ შექმნა ეს და აი მისი დამსახურება, სახელი და დიდება!

ამაზე სწერს საბჭოთა მთელი პრესა, ამაზე ლაპარაკობს კომპარტია, კომინტერნი... დზერჟინსკის ალბათ მეორე მავზოლეში ჩასმენ, უკდავ—ჰქმნიან. რატომ? იმიტომ, რომ არ დაივიწყოს შთამომავლობამ, თუ რაზომ სიმდაბლემდე, სიმხეცემდე, სადიზმამდე შეუძლია ადამიანი მიიყვანოს ბოლშევიკურმა ბარბაროსობამ. რეჟიმი თვითონვე აკრავს თავის თავს სამარცხვინო ბოძზე თავი შეიკავეთ ფურთხისაგან, ზურგი აქციეთ—მიცვალებულია.

აფხაზეთი და საქართველო.

ბოლშევიკებს კვლავ მიეცათ შემთხვევა დიდი ზეიმის და თამაშის: გასულ ივნისის თვეში გამართეს საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტის სხდომა, გამართეს სოხუმში და ჩვეულებრივის თვალთმაქცობით და რახარუხით მორთეს ყიჟინა: აი გვნახეთ, რა ძმობა და სიყვარულია დამყარებული საბჭოთა ერებს შორის და რა საუცხოოდ გვაქვს გადაწყვეტილი ეროვნული საკითხიო. საქართველოს უზენაესი ორგანო აფხაზეთში შეიკრიბა, მთელი აფხაზეთის მუშა-გლეხობა აუწერელის აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს და ყველას სახეზე გამოუთქმელი სიხარული იყო აღბეჭდილიო, მოგვითხრობს გაზეთი «კომუნისტი».

მაგრამ საქმის სინამდვილეს თუ ჩაუკვირდებით, დავინახავთ ბოლშევიკების სიცრუეს და უნიჭობას საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის საკითხშიაც, როგორც ეს სჩანს ყოველ მათ მოქმედებაში. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული (დამ. საქ. № 2), თუ რა უმსგავსი სახე მიიღო ეროვნულმა საკითხმა აფხაზეთში, სადაც გაეროვნება გადაიქცა გარუსებად. საქართველოს ცენ. აღმ. კომიტეტის ივნისის სხდომის ანგარიში კიდევ უფრო ნათელ ჰყოფს, რომ არც საქართველოს ცენტრალური «მთავრობა», არც აფხაზეთის «მთავრობა» თანავადაც არ ცთილობს არსებითად მოაწესრიგოს აფხაზ-ქართველთა ურთიერთობა და მათი ცხოვრება მიაყენოს ეროვნულ-თვითმოქმედების ნიადაგზე. ერთსაც და მეორესაც აინტერესებს მხოლოდ გარეგნული სახე და სახელწოდება. საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოაო, ამბობენ ბოლშევიკები. არამც თუ საქართველო, აფხაზეთიც სრულიად დამოუკიდებელი არისო, ბრძანებს ბ. ელიავა. რასაკვირველია, ამის ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებს ან პოლიტიკურ შარლატნებს. ჩვენ აქ არ შევჩერდებით საქართველოზე, თუ როგორ იჩაგრება ქართველი ერის უფლებები—ამაზე გვქონდა და კიდევ გვექნება საუბარი; დღეს ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ აფხაზეთს.

რა არის არსება აფხაზეთის საკითხისა? აფხაზებს სრული უფლება აქვთ და ეს აუცილებელიცაა მათი განვითარებისთვის, რომ ხელუხლებელ იქნეს აფხაზური ენა, იგი უნდა იხმარებოდეს ადგილობრივ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, უნდა სწარმოებდეს სწავლება ამ ენაზე, უნდა იბეჭდებოდეს სახალხო ლიტერატურა აფხაზურად, უნდა დაცულ იქნეს თავისებური აფხაზური კულტურა და ხელი უნდა შეეწყოს მის განვითარებას.

უნდა დაედვას მტკიცე საფუძველი აფხაზთა შემოქმედებას და თვითმოქმედებას, აფხაზები უნდა იყვნენ აქტიური მომქმედნი და მოღვაწენი აფხაზეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში. აფხაზები უნდა იღებდენ უშუალო მონაწილეობას ადგილობრივ ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებასა და დაწინაურებაში. მხოლოდ ამ აუცილებელის პირობით შესაძლებელია აფხაზეთში ეროვნული საკითხის გადაჭრა და შექმნა ნამდვილი ეროვნული შემოქმედების და თვითარსებობის.

ამასთან დაკავშირებულია აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობა. აფხაზეთი ისტორიულად, გეოგრაფიულად და ეკონომიურად გადაჯაჭულია საქართველოზე. საუკუნეთა მანძილზე ისინი ერთად იღვწოდენ და ჰქმნიდენ საერთო კულტურას. და ამ საერთო წარსულმა გააერთიანა ისინი საერთო მომავლისთვის. მხოლოდ მათი ურთიერთობა ყოველთვის უნდა ემყარებოდეს ძმების ურთიერთობას და საქართველო-აფხაზეთის განუკვეთელობაზე შეიძლება ლაპარაკი იმდენად, რამდენად საქართველო როგორც უმფროსი ძმა, სრულის პატივით მოეპყრობა აფხაზების ენას და კულტურულ თავისებურობას და ჭეშმარიტ ავტონომიის სახით უზრუნველ ჰყოფს მათ თვითმოქმედებას.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ იმდენი ნდობა და პატივისცემაა ქართველ ერში აფხაზებისადმი, იმდენი ძვირფასი მოსაგონარია მათი წარსული მდიდარი თანამშრომლობის, რომ საღ ნორმალურ პირობებში საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობა მოეწყობა ორივე მხარის სრულიად დასაკმაყოფილებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერს ამის მსგავს საბჭოთა საქართველოში ვერ ვხედავთ, რადგან ბოლშევიკებს აბსოლუტურად არ მოეპოვებათ უნარი ეროვნული საკითხის გადაჭრისა, რა ფორმებშიაც არ უნდა იყოს—მათ არა ესმით რა ეროვნების, არა სწამთ ეროვნება.

ჩავუკვირდეთ ზოგიერთ მოვლენას: თვითონ კომუნისტები არ მალავენ, რომ აფხაზეთში არიან პირები, რომელნიც ოცნებობენ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორებაზე და პირდაპირ რუსეთთან შეერთებაზე. მეორეს მხრით ცაკის უკანასკნელ სხდომაზე აფხაზეთის წარმომადგენელი ლაკობა გულზე ხელის ცემით ფიცულობდა, «ასი პროცენტით» ერთგული ვართ საქართველოსი, თუმცა იმავ დროს ერთგვარ შიშსაც გამოსთქვამდა, ვაი თუ დაგვჩაგროთო!

მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმიეროა ენის საკითხი აფხაზეთში. ბოლშევიკებისავე ცნობით აფხაზეთში 190 ათასი მცხოვრებია, უმეტესობა ქართველებია, მერე მოდიან აფხაზები, შემდეგ ბერძნები (18 ათ.) და სომხები (ამდენივე). ამ ერებისთვის ოფიციალურ სახელმწიფო ენებად გამოცხადებულია რუსული, ქართული და აფხაზური. ძალაუნებურად იკითხავთ: აქ რუსული რა შუაშიაო? ოღონდაც რა შუაშია! რუსობა აფხაზეთში ძალიან ცოტაა და რუსული ენა რატომ უნდა იყოს სახელმწიფო ენად აფხაზეთში? ბოლშევიკები იტყვიან: რუსული ენა ოქტომბრის ენაა. მაშინ რუსული უნდა გამეფდეს ყველა ეროვნულ რესპუბლიკაში და საქართველოს, სომხეთის, ადერბეიჯანის და სხვ. სახელმწიფო დაწესებულებათა გაეროვნებაზე ლაპარაკი მეტია.

მაგრამ კიდევ არაფერი, რომ რუსული აფხაზეთში თანაბარი იყოს ქართულის და აფხაზურის. უბედურება ისაა, რომ ფაქტიურად გაბატონებულია რუსული ენა და აფხაზური და ქართული მეტწილად გაძევებულია, და იგივე ლაკობა მოკრძალებით ეკითხება ცენ. აღმ. კომიტეტის წევრებს: «ხომ არ იქნება მავნებელი, რომ მოხუცს აფხაზს მის ენაზე დაელაპარაკონ, როცა მისი საქმე ირჩევა სასამართლოშიო!»

გასაოცარია! თუ აფხაზეთი თავისუფალი რესპუბლიკაა, საკუთარი სახელმწიფოა, ნუ თუ აფხაზებს ნება არა აქვთ თავის ენაზე ილაპარაკონ და მოისმინონ სხვისი? თუ აფხაზეთი ერი მოძმე ერის ქართველ-აფხაზების სახელმწიფოა, ნუ თუ მათი ენები არ უნდა იყოს ჭეშმარიტად სახელმწიფო ენები? ხოლო თუ აფხაზეთი რუსების რესპუბლიკაა, მაშინ რა საჭიროა თვალთმაქცობა და არ დაარქმევთ აფხაზეთს რუსეთის სახელს!..

ბ. ორახელაშვილო, ბ. ელიავა და ბ. ბახარაძეც, რას ზეიმობთ, რას თამაშობთ, ვის ატყვილებთ? სადაა გადაჭრილი ეროვნული საკითხი? სადაა აფხაზთა ეროვნების პატივისცემა?

თქვენ აფხაზეთის საკითხი და აფხაზეთ-საქართველოს დამოკიდებულება კი არ მოაწესრიგეთ, თქვენ შეჰქმენით აფხაზეთში ბუდე ყოველი ეროვნული საკითხის მოსასპობად. თქვენ გინდათ აფხაზეთში ააგოთ სიმაგრე გარუსებისა; იქიდან იწყებთ, მერე გადმოხვალთ საქართველოში. ჯერ ბედავთ აფხაზეთში, მერე გაბედავთ საქართველოშიც.

მაგრამ კარგად გიცნობთ ქართველი ერი, იცის თქვენი განზრახვანი და მზადაა ბრძოლისათვის. —ვა.

ერიდეთ ქურდებს!

უკანასკნელად გაზ. «კომუნისტში» დაიბეჭდა კერძო წერილები, მიწერილი პრაღაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ ბ. ნიკოლოზ ჭუმბურიძისათვის მისი პირადი ამხანაგ-მეგობრების მიერ. პრაღიდან გვატყობინებენ, რომ ეს წერილები ბოლშევიკების აგენტს მოუპარავს ნ. ჭუმბურიძისათვის 2 მაისს, ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ სანატორიუმში, საცა უკანასკნელი იმყოფება ეს ერთი წელიწადია. ნ. ჭუმბურიძეს იმავ დღეს უცნობებია გაქურდვის ამბავი სანატორიუმის ადმინისტრაციისათვის, მაგრამ ქურდისთვის ვერ მიუგნიათ; ნაქურდალი კი აღმოჩნდა—«კომუნისტის» ფურცლებზე.

Rédaction et Administration :
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.* Le Gérant : LARGILIÈRE.